დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 17 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №173/23
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2023 წლის 19 სექტემბერს №173 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 20 სექტემბრის №-- წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ მიიღო უსამართლო და უკანონო გადაწყვეტილება.

1.2. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე იყო არაობიექტური.

1.3 ამასთან, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადებულ იქნა 2023 წლის 4 ივნისს, ხოლო დასაბუთებული გადაწყვეტილება არ ჩაბარებია დღემდე.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2020 წლის 15 სექტემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე -- -- მიმართ, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს 2020 წლის 17 სექტემბრის განჩინებით (მოსამართლე -- --) მოსარჩელეს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ დასაზუსტებელი იყო სასარჩელო მოთხოვნა. 2020 წლის 30 ოქტომბერს მოსარჩელე მხარემ მიმართა სასამართლოს ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით. -- -- სასამართლოს 2020 წლის 4 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელეს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებლად დადგენილი საპროცესო ვადა, ვინაიდან სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელზე დადგენილი ხარვეზი არ იყო შევსებული. 2020 წლის 8 დეკემბერს მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა კვლავ მიმართა სასამართლოს ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით, თუმცა -- -- სასამართლოს 2020 წლის 8 დეკემბრის განჩინებით

მოსარჩელეს ისევ გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებლად დადგენილი საპროცესო ვადა, ვინაიდან დასაზუსტებელი იყო მოთხოვნა და მოპასუხეთა წრე.

2021 წლის 18 იანვარს მოსარჩელე მხარემ კვლავ მიმართა სასამართლოს ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით, კერძოდ დააზუსტა მოპასუხეები - -- -- და -- --, ასევე დავის დაგანი - ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება. -- -- სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის განჩინებით სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში.

საქმეზე მოსამზადებელი სხდომა გაიმართა 2021 წლის 16 აპრილს.

2021 წლის 14 მაისს -- -- დაზუსტებული სარჩელით მომართა სასამართლოს, მოპასუხეების - -- -- მიმართ და -- -- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, -- -- წერილების ბათილად ცნობასთან ერთად მოითხოვა მოპასუხე -- -- ქალაქ --, სოფელი --, -- ქუჩა №--, სართული --, ბინა ---ის (ს/კ -- --) პირდაპირი განკარგვის ფორმით -- -- საკუთრებაში გადაცემის დავალება.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 19 მაისის განჩინებით -- -- დაზუსტებული სარჩელი ახალი მოთხოვნის ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში.

2021 წლის 30 სექტემბერს მოსამართლემ გამოაცხადა მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- --, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს -- --, რომლებმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვეს.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 16 ივნისის განჩინებით, -- --, -- -- სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2022 წლის 26 ოქტომბერს, -- სააპელაციო სასამართლოდან შესული საქმე განაწილდა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- --.

2023 წლის 23 ივნისს მოსამართლე -- -- საქმეზე გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის

უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

კანონიერებაზე ზედამხედველობა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა, ფართო გაგებით, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოებები სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

კონკრეტულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლე -- -- მიერ მიღებულ იქნა უსამართლო და უკანონო გადაწყვეტილება. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები გადაწყვეტილების უკანონობაზე და დაუსაბუთებლობაზე განეკუთვნება კანონიერების სფეროს, რაც ვერ გახდება დისციპლინური სამართალწარმოების დროს მსჯელობის საგანი.

ამასთან, საქმის დეტალური შესწავლის შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და კონკრეტული საკითხების/ფაქტობრივი გარემოებების შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მის კანონიერებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. შეწყდეს -- -- 2023 წლის 19 სექტემბრის №173/23 საჩივრის საფუძველზე არსებული დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1. პუნქტი).

2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №173/23 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, შესაძლო დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტის შესწავლის ნაწილში „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტებზე (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2 და 1.3 პუნქტები).

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი